# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№908 2016 წლის 20 მაისი ქ. თბილისი

**„საქართველოს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (განრიგი 4-ის მიზნებისთვის) შორის სასესხო შეთანხმების (მეორე რეგიონალური განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება)“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძის, ლ. ხუციშვილის და ი. დარჩიაშვილის დანიშვნის შესახებ**

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის $1^1$ პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საქართველოს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (განრიგი 4-ის მიზნებისთვის) შორის სასესხო შეთანხმება (მეორე რეგიონალური განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება)“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და

პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები **გიორგი კაკაურიძე** და **ლაშა ხუციშვილი** და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ილია დარჩიაშვილი.**

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**